წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი N7

ქ. წალკა; 06.04.2022 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" ასლან მგელაძე.

.

(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:15 საათზე;

დღის წესრიგი:

1. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშები;

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ"

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშები; ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული აუდიტის ანგარიში და არაუგვიანეს მ/წლის 20 აპრილისა საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრიბი რესურსების საკითხების, საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალურ საკითხთა, სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიების და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს დასკვნები განკარგულების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ" რის შემდეგაც ლევონ მარკოსიანმა, ზვიადი გელაძემ, ანტარამ მელტონიანმა, მელიტონ პაკელიანმა, ნუგზარ ამურლიევმა და ჯემალ ბერიძემ ბიუროს გააცნეს კომისიების და ფრაქციის დასკვნები. ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ"; შეტანილ იქნას მ/წლის აპრილის თვის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე ი. გიგინეიშვილი *ი.გიგინეიშვილი*